ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ზაზა ნებაძე

არჩევის წესი-მაჟორიტარული

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება- საკრებულოს ფრაქციის ,,ევროპელი სოციალისტები" წევრი

საკრებულოს სხდომების რაოდენობა -17, დასწრება -17.

არჩევის წესი - მაჟორიტარი

კომისიის დასახელება

ახალციხის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ქონების მართვის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარული საკითხთა კომისიის წევრი

სხდომების რაოდენობა- 8 დასწრება -8

საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 17,დასწრება - 17

ვღებულობ აქტიურად მონაწილეობას და მხარს ვუჭერ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილულ საკითხებს, მათ შორის მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამცხე–ჯავახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს" წევრობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ

მაქვს მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები რათა გავიგო მათი პრობლემები და მოთხოვნები გაუწიო შესაბამისი დახმარება, მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე გამოვყოფ ძირითად პროექტებს:

- მონაწილეობა მივიღე სასურსათო ვაუჩერების დარიგებაში.
- სოფელ მინაძეში გაუწიე რეკომენდაცია და დავეხმარე მოსახლეს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გახსნილი კედლის საჭირო მასალების მიღებაში.

ასევე აქტიურად ვღებულობდი მონაწილეობას სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში, მინაძის ადმინისტრაციულ ერთეულში, მათი მოთხოვნები იქნა შესწავლილი და დაკმაყოფილებული

- სოფელ მინაძეში დაიგო რკინა ბეტონის 120 მეტრიანი გზა.
- სოფელ მინაძეში მიმდინარეობს ფანჩატურის გაკეთება.
- სოფელ ღრელში მიმდინარეობს საყრდენი კედლის სამუშაოები.
- სოფელ ღრელში ცენტრალურ გზაზე მოწესრიგდა ხიდის მოაჯირები.
- სოფელ ღრელში ამაღლების სალოცავის მოსწორება დასუფთავება.
- სოფელ ჭაჭარაქში განხორციელდა სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები მოსახლეობის მობილიზაციით და ჩართულობით.
- მინაძის ადმინისტრაციაში შეიცვალა გარე განათების დაზიანებული ნათურები.
- სოფელ მინაძეში ფეხბურთის მოედანზე შეიცვალა დაზიანებული 4 ცალი განათების პროჟექტორი.
- სოფელ ჭაჭარაქში ცენტრალურ გზაზე სკოლის კვეთასთან განთავსდა შესაბამისი საგზაო ნიშნები.
- სოფელ ჭაჭარაქში მოეწყო რკინა ბეტონის 80 მეტრიანი გზა.

სოფელ ღრელში გაიმართა ახალგაზრდების ჩართულობით სკვერის დასუფთავება.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობ და ვესწრები ღონისძიებებს, როგორც მინაძის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებს, ასევე სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის გამოვყოფდი რამდენიმე ღონისძიებას:

- ვესწრები სკოლებში და საბავშვო ბაღში გამართულ ღონისძიებებს.
- ვესწრებოდი სოფელ ღრელში გმართულ კალოობას, რომელიც დამკვიდრდა და ტრადიცია იქცა
- ვესწრებოდი მინაძის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ სპორტულ ღონისძიებას -ფეხბურთს
- 1989 წლის 9 აპრილის დაღუპულთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირების მემორიალთან გამართულ ღონისძიებას

შევსების თარიღი 27.10.2026წ.

წარდგენის თარიღი 30.10.26.

ხელმოწერა